

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 22**

ქ. თბილისი

1.04.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი ამილახვარი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ანა ფირცხალაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თეა ნადირაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები :

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:

- დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
- სოფიო შენგელია - სამართლის სკოლის დეკანი;
- ვახტანგ ზაალიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ლევან მოსახლიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- გიორგი ლორია - სასწავლო კურსის ხელმძღვანელი;
- გიორგი მესხი - სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

- რომან მამულაძე - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი;
- ქეთევან ზოიძე - ჰუმანიტარულ და სოციალურ დისციპლინათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მაია გრძელიძე-საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
- ციციშვილი თურქაძე - საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მანანა ქარჩავა - საბაკალავრო პროგრამის საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ ხელმძღვანელი;
- ქეთევან კინწურაშვილი - აგრარული ფაკულტეტის დეკანი;
- მარიეტა თაბაგარი - აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- რამაზ კილაძე - სამაგისტრო პროგრამა „ლანდშაფტური არქიტექტურა“ ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

დიმიტრი გეგენავა;

გიორგი მახაროზლიშვილი;

მალხაზ ნაკაშიძე;

ილია წიკლაური;

მარინა ბერიძე;

ნინო პოპიაშვილი;

ლევან გულუა;

თინათინ ხიმშიაშვილი;

გიორგი ქურდიანი;

ნანა იაშვილი (Skype-ის მეშვეობით ჩაერთო)

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა საათი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.



1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (მე-6 საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	06
სწავლების ენა	ქართული ¹
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა დასკვნაში არსებულ ტექნიკურ უზუსტობასთან დაკავშირებით, რომ რჩევა „სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ავტორიზებული წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მომსახურებაზე“ დასკვნის პროექტიდან ტექნიკურად იყო დარჩენილი შეცდომით საბოლოო დასკვნაში. აღნიშნული რჩევა საბოლოო დასკვნაში აღარ უნდა ყოფილიყო და სთხოვა საბჭოს არ გაითვალისწინა აღნიშნული. ჯგუფის თავმჯდომარემ დიმიტრი გეგენავამ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნების შემუშავებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ დამსაქმებლები, მონაწილეობა მიიღონ უშუალოდ პროგრამის მიზნების განსაზღვრაშიც, რათა საბაკალავრო პროგრამა შრომის ბაზარზე სრულად იყოს ორიენტირებული.

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილი იყოს იმგვარად, რომ ის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური იყოს. შესაბამისად, უნდა შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები.

- რეკომენდებულია, რომ თვითშეფასების ანგარიში ანალიტიკური სახის იყოს ვიდრე ნარატივით გადატვირთული და თან აუცილებელია მასში წარმოდგენილი იყოს პროგრამასთან დაკავშირებული არსებითი ელემენტები: თვითშეფასება სწორედ პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის თვალთ დანახული განხორციელების პროცესია და მასში უნდა ჩანდეს

¹ პროგრამა ხორციელდება ინგლისურენოვანი კომპონენტით.

პროგრამის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი მდგომარეობა და რეალობა.

- თვითშეფასების ანგარიშს უნდა ერთვოდეს ის მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც ის რეალურად შესრულდა.
- ყველა სილაბუსში მკაფიოდ და ამომწურავად უნდა იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.
- პროფესორებმა, რომლებიც არ არიან პრაქტიკოსები და ამ ნიშნით არ კითხულობენ ლექციებს, უნდა გააძლიერონ კვლევითი კომპონენტში, აუცილებელია პროფესორები იკვლევდნენ და ქმნიდნენ აკადემიურ პროდუქციას სამართალში.

ექსპერტმა საბჭოს ასევე გააცო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი აღიჭურვოს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ანუ სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან მიმოწერის ფუნქციით. ერთიანი ცენტრალიზებული საკომუნიკაციო სისტემა, ელ-ფოსტის, სოციალური ქსელების, სატელეფონო და პირადი კონსულტაციებთან ერთად უკეთ უზრუნველყოფს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელებას.

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იზრუნოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაფართოებაზე, იმგვარად, რომ პრაქტიკაში უკეთ განხორციელდეს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერა.

- სასურველია ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგდეს და განთავსდეს უნივერსალური აღრიცხვის კოდების (UDC) მიხედვით, რათა სტუდენტებს გაუმარტივდეთ წიგნების მოძიება თემატურად უშუალოდ საბიბლიოთეკო სივრცეში.

16:32 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები ნატო გენგიური, ხათუნა თოდაძე და სალომე თოთიბაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა საბჭოს გააცნო დაწესებულების პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებთან და რჩევებთან დაკავშირებით. მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდნენ ექსპერტთა შეფასებას, რადგან პროგრამის მიზნების შემუშავებაში გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები და მისი გამოწვევების ტრანსფორმაცია მოხდა პროგრამის მიზნებად. შეხვედრები განხორციელდა ფოკუს ჯგუფების ფორმატში და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა შესაბამისი დასკვნები. ამ პროცესში დამსაქმებლებიც იყვნენ ჩართულნი. ამასთან, ჩატარდა პროგრამის საჭიროებების კვლევა, რაც გამოყენებულ იქნა მიზნის განსაზღვრის პროცესში. თუმცა, იზიარებდნენ რეკომენდაციას იმ თვალსაზრისით, რომ მომავალში უფრო გასაძლიერებელი იყო დამსაქმებლების ჩართულობა.

მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა მოსაზრებას, ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგები იყო გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას. ზემოაღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებდა

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებსაც. სამართლის საბაკალავრო პროგრამა გადიოდა 8 „გამსხვილებულ“ შედეგზე, რომლებიც მორგებული იყო მოქმედ დარგობრივ სტანდარტს.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში შემუშავებული იყო აღწერით, ანალიტიკურ პრინციპზე დაყრდნობით და მასში მოყვანილი იყო ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ ეტაპობრივად იხვეწებოდა მისი შემუშავების პროცესი და მომავალშიც გაგრძელდებოდა ეს პროცესი.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ თვითშეფასების ანგარიშს ერთვოდა საჭირო მასალა, რომელიც ამყარებდა მასში მოყვანილ ინფორმაციას. თუ შეფასების ჯგუფს გაუჩნდა განცდა, რომ რაიმე საჭირო მასალა არ იყო წარმოდგენილი, პროცესის გამართულად და თანამშრომლობით გარემოში განსახორციელებლად, კარგი იქნებოდა, თუ ვიზიტის დროს დააფიქსირებდნენ რა მასალის მიწოდება იყო საჭირო, დაწესებულების მხრიდან უზრუნველყოფილი იქნებოდა ყველა მოთხოვნილი მასალის მიწოდება. ადგილზე ვიზიტის დანიშნულება ხომ უმთავრესად სწორედ ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებას წარმოადგენდა.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებული იყო სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია, რომელიც მოითხოვს შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების დეტალურ აღწერას, შეფასების რუბრიკების გაწერას, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეფასების გამჭვირვალობა. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი კიდევ ერთხელ გადაამოწმებდა სილაბუსებს.

მეექვსე რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის მექანიზმები, შემუშავებული იყო კრიტერიუმები, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იყო აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხელს უწყობდა აკადემიურ პერსონალს, აფინანსებდა რა სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, ნაშრომების გამოქვეყნებას, კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობას.

საბჭოს წევრი გიორგი ამილახვარი დაინტერესდა, რატომ თვლიდნენ ექსპერტები, რომ სწავლის შედეგები იყო ბევრი და რომელი სწავლის შედეგი არ იყო რეალისტური და მიღწევადი.

აკრედიტაციის ექსპერტმა გიორგი მახარობლიშვილმა განმარტა, რომ რეგულირებად პროფესიას ჰქონდა გარკვეული შეზღუდვა, რომ 75%-მდე უნდა ყოფილიყო მიმართული რეგულირებისკენ. რასაც უნდა აკმაყოფილებდეს, სამართლის პროგრამები. აღნიშნული მოსაზრება არ წარმოადგენდა ექსპერტთა სუბიექტურ აზრს, დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო ამდენი სწავლის შედეგის მიღწევა. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი რომელი სასწავლო კურსი რომელ შედეგზე გადიოდა.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებაც ყოფილიყო პროგრამაში გათვალისწინებული, რაც ცალკე სასწავლო კურსების სახით პროგრამაში ვერ მოიძია და სთხოვა დაწესებულების

წარმომადგენლებს და ექსპერტებს განემარტათ, რომელიმე სასწავლო კურსში ხომ არ იყო აღნიშნული თემატიკა გათვალისწინებული, გარდა „სახელმწიფო მოწყობისა“ სადაც აღნიშნულ თემას ეთმობოდა 3 სალექციო საათი, რაც ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, რამდენად შესაძლებელი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების სრულყოფილად განხილვა სამ საათში. მან ასევე აღნიშნა, ხომ არ ჯობდა სახელმწიფო საპარტალი ყოფილიყო „საოჯახო სამართლის“ და „შრომითი სამართლის“ წინაპირობა. გარდა ამისა, პარალელურად ისწავლებოდა „სახელმწიფო სამართალი“ და „პროცესი“ ამ შემთხვევაშიც ხომ არ ჯობდა თანმიმდევრულად ყოფილიყო დალაგებული. მისი თქმით პროგრამაში ვერ ნახა „სამოხელეო სამართალი“, „კონსტიტუციური სამართალი“, „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“ და ბევრი სხვა. სასურველი იყო კაზუსის ამოხსნის მეთოდისაც ყოფილიყო მიწოდებული სტუდენტებისათვის.

საბჭოს წევრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით ექსპერტმა დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვები ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა თუმცა დასკვნაში ვერ მოხვდა, რადგან დაწესებულებისგან მიიღეს პასუხები და მათი არგუმენტები მისაღები აღმოჩნდა ექსპერტთა ჯგუფისთვის. ექსპერტის მოსაზრებით, 1.1 კომპონენტი არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო დამოუკიდებლად 1.2 კომპონენტისაგან და აღნიშნული შეფასება საერთო სტანდარტისა მიღებულია მათი კორელაციით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სახელმწიფო სამართალთან დაკავშირებულ მოსაზრებას ვერ დაეთანხმებოდა, აღნიშნული საკითხი მათი მოსაზრებით, გემოვნების საგანს წარმოადგენდა თუმცა დაწესებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, საბჭომ იმსჯელა წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით და დამატებით შეიმუშავე შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:

რეკომენდაციები:

- დაიხვეწოს წინაპირობები;
- დაზუსტდეს ცალ-ცალკე სასწავლო კურსების წინაპირობები (მაგ. შრომის სამართლის წინაპირობად განისაზღვროს სახელმწიფო სამართალი);
- ცალკეულ სასწავლო კურსებში განახლდეს ლიტერატურა.

რჩევები:

- მიზანშეწონილია გაიზარდოს ცალკეული სავალდებულო კურსის მოცულობა კრედიტებით, არჩევითი სასწავლო კრედიტების ხარჯზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე-13

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 31 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრა 6 თვე.

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა (მე-8 საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ საბჭოს გააცო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამის განხორციელებისას გააზრებულ უნდა იქნეს სამართლის სადოქტორო პროგრამის ფუნქციური მნიშვნელობა, მისი მიზნები და მათი მიზნეზშედგომბრივი კავშირი სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელების პოლიტიკასთან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა დაახლოვოს პროგრამის მიზნები და პროგრამის განხორციელების პრაქტიკა ისე, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამა არა უბრალოდ პრესტიჟად, არამედ რეალური შედეგების, საზოგადოებისა და დარგის განვითარებაში პრაქტიკული წვლილის შემტანად აღიქმებოდეს.

▪ პროგრამის სწავლის შედეგები უნდა დაზუსტდეს, მოერგოს ქართულ სამართლებრივ სინამდვილეს, ბაზრის საჭიროებებს, ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ თითოეული შედეგი იყოს გაზომვადი, მიღწევადი და გადამოწმებადი. ამასთან, უნდა შემუშავდეს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების კონკრეტული წესი და საშუალება, რომელიც შესაძლებელს გახდის, შემოწმდეს, რამდენად წარმატებით მიაღწია პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს დოქტორანტმა.

▪ „სამართლებრივი კვლევის მეთოდები“, „სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება“ - საგანთა თემატიკისა და შინაარსის დუბლირების გამო, აღნიშნული საგნები უნდა გაერთიანდეს.

▪ „სამართლის ფილოსოფიის“ შინაარსი უნდა დაიხვეწოს, ნაცვლად ფორმალურ საკითხზე ორიენტირებისა, უნდა მოიცავდეს თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებულ სამართლის ფილოსოფიას, რომელიც დოქტორანტს თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის, კრიტიკული აზროვნების, სიღრმისეული ანალიზის უნარებს და ღირებულებებს გამოუმუშავებს.

▪ „სამეცნიერო წერის კულტურის“, „სამართლებრივი კვლევის მეთოდებისა“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდების გაღრმავების“ სილაბუსების შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ საგნებმა ერთი და იგივე უნარები არ გამოუმუშავოს დოქტორანტს, ასევე შესძინოს სიღრმისეული ცოდნა.

▪ დოქტორანტთა ხელმძღვანელობისთვის უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული ლექტორები, რომლებიც ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას კონკრეტულ კვლევასთან მიმართებით. მათი პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დოქტორანტის ხელმძღვანელობისთვის საკმარისად. აუცილებელია თითოეულ მათგანს თანამედროვე კვლევებით უდასტურდებოდეს დოქტორანტის კვლევის სფეროს მიმართ მიზეზობრივი კავშირი.

▪ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები უნდა იკვლევდნენ, ჰქონდეს უახლესი კვლევები და ქმნიდნენ სამეცნიერო პროდუქციას, რათა ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს. ამ მიმართულებით აუცილებელია პერსონალის წახალისება და შესაბამისი პირობების შეთავაზება/დადგენა.

▪ სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა უნდა გაიზარდოს, რათა პროპორციულად დაიფაროს სტუდენტთა რაოდენობა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის საჭიროება. ამასთან, სადისერტაციო საბჭოს წევრებისთვის უნდა დადგინდეს კვლევითი აქტივობების მოთხოვნის მაღალი სტანდარტი.

▪ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს აფილირების ერთიანი სტანდარტი, დაადგინოს აფილირების პირობები განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევის მიმართულებით.

▪ მიზანშეწონილია განხორციელდეს პერსონალის ავტობიოგრაფიების (CV) და პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის თარგმნა და გაახლება. კერძოდ, საჭიროა ისინი იყოს ქართულ ენაზე.

▪ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო იურიდიულ სამეცნიერო ბაზებთან (მაგ., Heinonline, Lexis-Nexis და ა.შ.) წვდომა.

▪ აუცილებელია უნივერსიტეტსა და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეს ავტორიზებული წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ სრულ რესურსებზე.

▪ რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ ხარისხის უზრუნველყოფის რეალური ციკლორობა აჩვენოს, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროცესის განვითარება-დახვეწა.

▪ რეკომენდებულია, 2017 წელს განხორციელებული განმავითარებელი შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის

გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები.

- რეკომენდებულია, პროგრამის რეაქრედიტაციისთვის მომზადების ჯგუფს გაანალიზებული ჰქონდეს აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად დადებული დასკვნა.

- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აისახოს ის ფაქტორები მდგომარეობა და პროცესი, რაც ინსტიტუციის მხრიდან სააკრედიტაციოდ დოკუმენტაციის მომზადების პროცესში რეალურად განხორციელდა.

- რეკომენდებულია, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად და რეალურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მინიმუმ მონიტორინგის პროცესში.

გარდა რეკომენდაციებისა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

- სასურველია სილაბუსებში მიეთითოს ყველაზე თანამედროვე მასალა, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. გამოცემების ნაწილის შემთხვევაში არსებობს მათი უახლესი გამოცემები, რაც სილაბუსებში ასახული არაა.

- სასურველია ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგდეს და განთავსდეს უნივერსალური აღრიცხვის კოდების (UDC) მიხედვით, რათა დოქტორანტებს გაუმარტივდეთ წიგნების მოძიება თემატურად უშუალოდ საბიბლიოთეკო სივრცეში.

- სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი შინაარსის საგნები, რომლებიც დოქტორანტს უშუალოდ გამოუმუშავებს მომავალში საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისა და სამომავლო საქმიანობის წარმატებით წარმართვის უნარებს (მაგალითად, მეცნიერების/განათლების მენეჯმენტი, სილაბუსისა და კურიკულუმის შემუშავება)

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავდეს ავტობიოგრაფიების ერთიანის ფორმა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, იგი დაინტერესდა როგორ წარმოედგინათ დოქტორანტის დამსაქმებელი, ვინ შეიძლება ყოფილიყო მოაზრებული. რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ დამსაქმებელი შეიძლება ყოფილიყო თუნდაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც დოქტორანტმა უნდა განახორციელოს კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობა. ვიზიტის დროს შესაძლებლობა მიეცა ექსპერტთა ჯგუფს გასაუბრებოდნენ პროგრამის დამსაქმებლებს (როგორც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის, ასევე დოქტორანტურის საფეხურის). საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, პროგრამის საფეხურიდან გამომდინარე მიზნები იქნებოდა განსხვავებული ამ კუთხით. თუ საუბარი იყო დოქტორანტის დამსაქმებელზე, სხვა უნივერსიტეტის სახით ეს იქნებოდა უფრო გარე მონიტორინგი, რაც ნებისმიერ დროს შეეძლო განეხორციელებინა დაწესებულებას. ექსპერტმა, დიმიტრი გეგენავამ დაამატა, რომ სამივე პროგრამაზე სულ სამი დამსაქმებელი იყო გასაუბრებაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „ცესკოს ტრენინგ-ცენტრი“, „ნოტარიუსთა პალატა“-ის წარმომადგენლები, ეს არ გულისხმობდა იმას რომ სხვა დამსაქმებლები არ იყვნენ ჩართული პროგრამის განვითარებაში. პროგრამა დოქტორანტებს ამზადებენ არა მხოლოდ უნივერსიტეტებისთვის, არამედ მათი დასაქმების არეალს წარმოადგენდა იურიდიული-სამეცნიერო ჟურნალები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, იურისტები ძალიან დიდ ანალიტიკურ სამუშაოს ასრულებდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის ხასიათს ხომ არ ატარებდა უფრო, ვიდრე რეკომენდაციისას. რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ საუბარი იყო იმაზე, რამდენად იყო გათვალისწინებული მესამე პირების, ამ შემთხვევაში

დამსაქმებლების მოსაზრებები პროგრამის განვითარების პროცესში. აღნიშნულ პროცესში არ იგულისხმებოდა ისეთი გარე შეფასება როგორც არის უცხოელი კოლეგის მიერ პროგრამის შეფასება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტაციის მიზნებისათვის მივლენილი ექსპერტების შეფასება და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა 2017 წელს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად პროგრამის განვითარებაში ჩართულობას. რაზეც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა საბჭოს გააცნო დაწესებულების პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებთან და რჩევებთან დაკავშირებით.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდნენ ექსპერტებს, რადგან აღნიშნულ რეკომენდაციას საფუძველად, სავარაუდოდ, დაედო სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა. უნივერსიტეტს გამოკვლეული ჰქონდა დოქტორანტთა გარკვეული ნაწილის სტუდენტების სტატუსის შეჩერების მიზეზები და ისინი, უმეტესწილად, დაკავშირებული იყო დროის სიმცირესთან კვლევითი კომპონენტის შესრულების ეტაპზე. მეორე მხრივ, პროგრამით გათვალისწინებული პროცესი რთული იყო და მისი სრულყოფილად შესრულება დამოკიდებული იყო დოქტორანტის ბევრ პიროვნულ თუ სხვა ფაქტორზე, რომელიც იდენტიფიცირებადი შესაძლოა ვერ ყოფილიყო სტუდენტის პროგრამაზე მიღების დროს. ზუსტად ეს ასპექტი, ადმინისტრაციის სტაბილურობა და შეურყეველი პრინციპულობა სწავლების ხარისხთან მიმართებით არ აძლევდა მეცნიერების გზაზე შემდგომ სტუდენტებს იმის საშუალებას ეფიქრათ, რომ მარტივად და იოლად მოიპოვებდნენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს. გააზრებული იყო რა უნივერსიტეტის პოლიტიკა მაღალ სტანდარტებზე ორიენტირების, დოქტორანტები იღებენ შესაფერის გადაწყვეტილებას სტატუსის შეჩერების თაობაზე რაციონალური დროით. ამავდროულად, ეს ლოკალური ასპექტი უნდა ყოფილიყო დანახული გლობალურ და შედარებით კონტექსტში, თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტმა უკვე შექმნა განვითარების მექანიზმები, კერძოდ, უშუალოდ უნივერსიტეტის დაფინანსებით იწყებოდა ორი კვლევითი პროექტი, რაც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, სტუდენტთა ჩართულობასა და კვლევითი უნარების ზრდას შედეგების მისაღწევად, მეორე მხრივ, აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდას და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის გაფართოებას. ამ პროექტების თაობაზე ინფორმაცია ვიზიტისას მიწოდებულ იქნა ექსპერტთათვის, რაც ინტერესით იქნა მათ მიერ აღქმული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გარდა ამისა, მიღების ეტაპზე გამკაცრდა დოქტორანტობის მსურველთა შერჩევის პოლიტიკა ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე კვლევების წარმართვისა და მკვლევარის სასტარტო პოტენციალზე აქცენტირებით. პროგრამაზე დასაშვებად, დოკუმენტებს შორის კანდიდატს მოეთხოვებოდა სამოტივაციო წერილის, რეკომენდაციისა და საკვლევ თემატიკაზე რეფერატის მიმღები კომისიისათვის წარდგენა. სწორედ ამ კომპონენტებში შესაძლებელი იყო სათანადო მიდგომების მეშვეობით მდგომარეობის შეცვლა.

საპილოტე აკრედიტაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით სამართლის სადოქტორო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება და სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა განისაზღვრა. სერთიფიკატის არქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა შიდა ტესტური გამოცდის მეშვეობით აღნიშნული ენის B2 დონაზე ცოდნის დადგენას. შესაბამის ენობრივ კომპეტენციას უთანაბრდებოდა შემთხვევა, თუ კი აპლიკანტს გააჩნდა უცხოეთში (პროგრამის მითითებულ ენაზე გავლის შემთხვევაში) მიღებული ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ასევე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო გასაუბრება, რომელიც პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საპილოტე აკრედიტაციის დასკვნის რეკომენდაციის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვით პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ (6 სემესტრი) აკადემიური დავალიანების მქონე დოქტორანტს უფლება ჰქონდა აქტიური სტუდენტის სტატუსით სწავლა გაეგრძელებინა ნაცვლად 8 სემესტრისა, არაუმეტეს 4 სემესტრის განმავლობაში. ამით იზღუდებოდა სტუდენტის აქტიური სტატუსის პოზიციაში ყოფნა. პასიური სტატუსის ანუ სტატუსშეცვრებულის მაქსიმალური ვადების კონტროლი შეუძლებელი ხდებოდა მოქმედი ნორმატიული მოწესრიგებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება უშუალოდ კვლევის პროცესს, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით, სადისერტაციო ნაშრომი მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ ფასდებოდა. მკვლევარის მიერ განხორციელებული კვლევის მონიტორინგი ადმინისტრაციის მხრიდან არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად, რადგან ეს ეტაპი იყო დოქტორანტის და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის ინდივიდუალური მუშაობის პროცესი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებით უნდა გაზომილიყო. ამავდროულად ხორციელდებოდა დოქტორანტის პროგრესის პერიოდული შეფასება მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, როგორც ამას ითხოვდა აკრედიტაციის სტანდარტები.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე მიღების წინაპირობები, რომელსაც სამართლის სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებდა და უშუალოდ პროგრამის არქიტექტურა, მიმართული იყო ისეთი დოქტორანტების მოზიდვასა და მომზადებაზე, რომლებიც რეალურად მოტივირებული არიან კვლევის წარმოებაზე, საზოგადოებისა და დარგის განვითარებაში პრაქტიკული წვლილის შეტანაზე.

რაც შეეხება პრესტიჟის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას კავკასიის უნივერსიტეტს ჰქონდა ჯანსაღი ამბიცია, მის საგანმანათლებლო პროგრამებს მოეპოვებინათ პრესტიჟი საგანმანათლებლო სივრცეში არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონის და საერთაშორისო მასშტაბით. როგორც ყველა ჯანსაღი მოქმედების და მიზნების მქონე უნივერსიტეტი, აქაც პრესტიჟი მნიშვნელოვანი იყო. ეს კომპონენტი კვალიფიციური კადრის მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესაძლო კრიტერიუმის სინთეზს და გააზრებულ პროცესს. აქვე აღსანიშნავი იყო, რომ ხარისხი და პრესტიჟი ერთმანეთს განაპირობებენ. ჩვენ საგანმანათლებლო სივრცეში არ იყო აღიარებული ცნება - პრესტიჟი ხარისხის გარეშე. საგანმანათლებლო დაწესებულების პრესტიჟს არ განაპირობებდა ერთი ცალკეული ფაქტორი. პრესტიჟს განაპირობებდა კომპლექსურ მახასიათებელთა ერთობლიობა, რაც აისახება საზოგადოების წარმოდგენაში კონკრეტული ინსტიტუციის მიმართ. ეს წარმოდგენები ნებისმიერ სფეროში თამაშობდა უზარმაზარ როლს კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვაში, რაც ერთი ორად ზრდიდა კონკრეტული ინსტიტუციის წარმატებულობის შანსს და მათ შორის კვლევების სფეროში. აქცენტირება იმაზე, რომ პროგრამა

იყო მოწყობილი იმგვარად, რომ მასზე სწავლა მხოლოდ პრესტიჟის საკითხია - არაკორექტულად მიაჩნდა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, უფრო მეტი აქცენტი გაეკეთებინათ რეკომენდაციებზე და არა ზოგად მსჯელობაზე.

სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოქმედი დარგობრივი სტანდარტი ითვალისწინებდა ექვსი ძირითადი შედეგის (კომპეტენციის) მიღწევის აუცილებლობას და მიუხედავად აკრედიტაციის ახალი სტანდარტების ძალაში შესვლისა, სამართლის დარგობრივი სტანდარტის ცვლილებამდე ძალაში რჩება. ცხადია, პროგრამით წარმოდგენილი შედეგების ხელახალი ფორმულირება ჰიპოთეტურად შესაძლებელი უნდა იყოს, თუმცა ისინი არსებული ფორმითაც იმდაგვარად იყო წარმოდგენილი, რომ არ უნდა ჩნდებოდა ეჭვი მათ რელევანტურობას, მიღწევადობასა და გადამოწმებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სადოქტორო პროგრამის მთავარი დანიშნულებაა ახალი თაობის, თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებული, სათანადო მეთოდოლოგიის ცოდნითა და ინოვაციური ინსტრუმენტებით აღჭურვილი, მოტივირებულ მკვლევართა აღზრდა სამართლის ყველა მიმართულებით. პროგრამას ამბიცია ჰქონდა, ასევე განათლებაზე მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, სწავლების პროცესში სამეცნიერო მიღწევების დანერგვის შემძლე მეცნიერ-პედაგოგთა თაობის აღზრდა, რაც ასახული იყო როგორც პროგრამის სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტებში. კერძოდ, განსაკუთრებული აქცენტები კეთდებოდა კვლევის მეთოდების გამოყენებისა და თანამედროვე აკადემიური სტანდარტების შესაბამისი აზრის ფორმირებისა თუ წარდგენის უნარების გაღრმავებაზე როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კომპონენტების შეთავაზებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის მოსაზრებით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები სამართლის ევროპულ ანალოგთან დაახლოებისაკენ ნოყიერი საფუძველია, როგორც ემპირიული, ისე შედარებით-სამართლებრივი კვლევების განხორციელებისათვის. რეფორმირებას დაქვემდებარებული სამართლის ცალკეული მიმართულებების ადეკვატური, ეფექტიანი განვითარება კანონშემოქმედებით და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კვალიფიციურ მკვლევართა არცთუ მცირე კონტიგენტს საჭიროებს და უდავოა, რომ ფონი სამეცნიერო ფართო ასპარეზისათვის გამოკვეთილი იყო. ამასთან, შედეგთა მიღწევადობის გაზომვა ინდივიდუალურ მიღწევათა საფუძველზე უნდა მომხდარიყო სადოქტორო დონეზე, რის შესაძლებლობასაც ცალკეული კომპონენტების სილაბუსები ადეკვატურად იძლეოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა უზრუნველყოფდა მკვლევართა მომზადებას, რაც დასტურდებოდა სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებით და პედაგოგიური კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის მომზადებას. ამ ნაწილში თითოეული სასწავლო კომპონენტი ასევე ითვალისწინებდა შეფასებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი შემუშავებული იყო, თუმცა შედეგთა შეფასების გენერალიზაცია პროგრამის დონეზე კვლევითი კომპონენტის მიმართებით ძნელად წარმოსადგენია, შესაბამისად, მონიტორინგი და აღნიშნულ შედეგთა შეფასება ხორციელდებოდა ინდივიდუალურ დოქტორანტთან მიმართებით. ტაქსონომიის პრინციპის პროგრამაზე განხორციელებული გამოყენება პროგრამას მიიყვანდა იქამდე, რომ საერთო სტატისტიკური მაჩვენებელი ფორმალურად გახდებოდა ბიძგი პროგრამის

ადეკვატურობაზე ნეგატიური დასკვნის გაკეთებისა მაშინ, როდესაც დოქტორანტთა ინდივიდუალური მიღწევების მაღალი დონე (თუმცა მცირედი წილით საერთო სტატისტიკურ მაჩვენებელში) იგნორირებული იქნებოდა და ამით ნიველირებას გაუკეთდებოდა სამეცნიერო კვლევების წარმოებისათვის იმ ორგანიზაციულ მოწყობას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა მეცნიერებაში რეალური ინდივიდუალური წვლილის შეტანა.

მესამე და მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნების: „სამართლებრივი კვლევის მეთოდები“, „სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება“ სწავლება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში განპირობებული იყო პრაქტიკული აუცილებლობით: დოქტორანტების დიდ ნაწილს აღნიშნული საგნები არ ჰქონდა გავლილი არც საბაკალავრო და არც სამაგისტრო საფეხურზე. მეორე მხრივ, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ხსენებული საგნების სწავლება აუცილებელია იმისათვის, რომ საბოლოოდ დოქტორანტმა შეძლოს სადოქტორო თემის დამუშავება და დისერტაციის დაწერა. აღნიშნული საგნების სრულყოფილად და დეტალურად გავლის გარეშე კი, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სადოქტორო ნაშრომის ჯეროვნად დამუშავება ვერ მოხერხდებოდა.

აღნიშნული პრაქტიკული აუცილებლობიდან გამომდინარე, ხსენებული საგნების სილაბუსები შედგენილი იყო იმ პრინციპით, რომ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი სრულად დაეუფლოს აკადემიური ნაშრომის შექმნისთვის საჭირო როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარებს. საგნები: „სამართლებრივი კვლევის მეთოდები“ და „სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის“ ისწავლებოდა სადოქტორო პროგრამის პირველი სასწავლო წლის პირველ სემესტრში. მათი სწავლება სადოქტორო კვლევის დასაწყისში მიზანშეწონილი იყო იმდენად, რამდენადაც ისინი თავიდანვე ობიექტურ წარმოდგენას უქმნიდნენ დოქტორანტებს აკადემიური კვლევის არსისა და მისი თავისებურებების შესახებ. საგნების სილაბუსები შედგენილი იყო იმ მიზნით, რომ ერთ საგანს არ გადაეფარა მეორის თემატიკა. მეორე მხრივ, არსებობდა გარკვეული საკითხები, რომელთა სწავლების აუცილებლობასაც ვერ აცდებოდა პროგრამა, მაგრამ აქ განსხვავება იყო სწავლების მეთოდიკაში: ერთ შემთხვევაში საგანი ისწავლებოდა ზოგადად - აკადემიური კვლევის, მეორე შემთხვევაში კი - კონკრეტულად სამართლის მეცნიერების პრინციპების შესაბამისად. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ მიუხედავად ქართულენოვანი ლიტერატურის უკიდურესი სიმწირისა (პრაქტიკულად - არარსებობისა) აღნიშნულ სფეროში, სასწავლო მასალები ორივე საგნის შემთხვევაში განსხვავებული იყო. რაც შეეხება საგანს: „სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება“ - აღნიშნული საგანი ისწავლებოდა სადოქტორო პროგრამის უფრო გვიანდელ საფეხურზე იმ მიზნით, რომ სტუდენტებს, რომელთაც უკვე გააჩნდათ თეორიული ცოდნა აღნიშნულ სფეროში, გამომუშავებოდათ სადოქტორო ნაშრომისთვის საჭირო პრაქტიკული უნარები; ამდენად, ხსენებული საგნის სილაბუსი განსხვავებული იყო წინა ორი საგნისგან როგორც შინაარსობრივად, ასევე სწავლების მეთოდიკისა და სასწავლო მასალების თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ საგნები „სამართლებრივი კვლევის მეთოდები“, „სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება“ ხელს უწყობდნენ აკადემიური ნაშრომის შექმნისთვის საჭირო ზოგადი და სპეციფიური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას (განსაკუთრებით იმ დოქტორანტებისთვის, რომელთაც მსგავსი საგნები სწავლების არც ერთ საფეხურზე არ გაუვლიათ) და, ამდენად, მათი სწავლება მიზანშეწონილი იყო სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამართლის ფილოსოფიის კვლევის არეალი საკმაოდ ფართო იყო და ის მიმართულია იყო იმ უმნიშვნელოვანესი მიზნისკენ, რომ სახელმწიფომ შეძლოს მის მიერ დადგენილი სამართალი მაქსიმალურად მიუახლოვოს იმ უნივერსალურ სამართალს, რომელიც აბსოლუტურად სრულყოფილი და სამართლიანი იყო. სახელმწიფოს გაჩენიდან დღემდე სახელმწიფოს და სამართლისადმი დასმული მთავარი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: „ვინ აძლევს უფლებამოსილებას სახელმწიფოს, განუსაზღვროს ქვეყნის წესები საზოგადოების წევრებს, რომლებიც დაბადებით მოპოვებული თავისუფლებით სარგებლობენ“. სწორედ ამიტომ, ანტიკური ხანიდან დღემდე სამართლის ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო, აეხსნა აბსოლუტურად სამართლიანი სახელმწიფოს და სამართლიანი სამართლის ფენომენი, განესაზღვრა საზოგადოების, სახელმწიფოს და სამართლის ნორმათა ურთიერთმიმართება და მაქსიმალურად შეძლებოდა ადამიანის უფლებათა დაცვა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო არა პარტიკულარული რეგულირების შესწავლით, არამედ სამართლის ძირითადი პრინციპების განზოგადებით, უფლება-მოვალეობათა სინთეზური ანალიზით და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბებით.

თანამედროვე პრაქტიკას რაც შეეხებოდა, მისი განხილვა აზროს მოკლებული იყო სამართლის ძირითადი დოქტრინალური ანალიზის გარეშე. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსი მიმოიხილავს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კულტურებში არსებულ თეორიებსა და შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა არის სამართალი, როგორ უნდა მოქმედებდეს იგი და როგორ და რა პრინციპების დაცვით უნდა დადგეს იურიდიული შედეგი. ამ საკითხების კრიტიკული ანალიზის შემდეგ კი სილაბუსი ყურადღებას უთმობდა სასამართლო პრაქტიკას, რომელიც თემატურად იყო ასახული სასწავლო გეგმაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სილაბუსში გათვალისწინებული თემატიკა ეხებოდა როგორც დოქტრინალურ მიდგომებს, ასევე თანამედროვე პრაქტიკას, რომელიც სამართალშეფარდებითი საქმიანობის ანალიზის სახითაა წარმოდგენილი უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რაც დოქტორანტს მისცემდა კრიტიკული ანალიზის და სამართალში ღირებულებების მნიშვნელობის გაცნობიერების უნარებს და შესაბამისად, პასუხობს დოქტორანტურის საფეხურის სასწავლო მიზნებს.

მეექვსე და მეშვიდე რეკომენდაციებთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა აფილირებული პროფესორების და სადოქტორო პროგრამებში ჩართული პირების კვალიფიკაციას. სპეციალური სავალდებულო კრიტერიუმებით შეირჩეოდა აფილირებული პროფესორები, რა მიმართულებითაც უნივერსიტეტს უკვე გადადგმული ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები და ამ მხრივ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აგრძელებდა მუშაობას. უნივერსიტეტის სტრატეგია ითვალისწინებდა თითოეული მიმართულებისათვის უზრუნველყოფილი ყოფილიყო საჭირო რაოდენობის დარგის გამორჩეული სპეციალისტების მოზიდვა, ვინც განახორციელებდა კვლევებს და უხელმძღვანელებდა სტუდენტებს. რაც შეეხებოდა სამართლის მიმართულებას, ჯამურად 42 დარგობრივი აკადემიური პერსონალიდან, დაახლოვებით 30-ს უდასტურებოდა აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნის მიხედვით ბოლო 5 წლის განმავლობაში კვლევების განხორციელება.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის მოსაზრებით, პროგრამის აქტიური სტატუსის დოქტორანტთა რაოდენობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ პროგრამა უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი

ადამიანური რესურსით, ხოლო საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელი იყო დამატებით საჭირო ოდენობის ხელმძღვანელების მოწვევაც. ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს დამატებით წარუდგინა ამჟამად აქტიური და პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების სია. ასევე წარმოდგენილ იქნა მათი რეზიუმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე, პერიოდულად შედის ცვლილებები, სწორედაც რომ მათთვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. ბოლო განახლება განხორციელდა 2019 წლის 29 მარტს. რომელიც შედგებოდა 11 წევრისგან. ასევე, დოქტორანტურის დებულება ითვალისწინებდა სხდომის გაფართოებული „შემადგენლობით“ ჩატარების შესაძლებლობას, რომელშიც ჩართული შეიძლებოდა ყოფილიყვნენ კონკრეტული ქვედარგის/მიმართულების/სპეციალიზაციის პროფესორები. შესაბამისად, საკვლევი თემის თუნდაც დამტკიცების ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღება. დაწესებულება ასევე თვლიდა, რომ დოქტორანტების სათანადოდ მომსახურება ნაკლებად უნდა იკვეთებოდეს საბჭოს შემადგენლობის რაოდენობასთან.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა აკადემიური პერსონალის აფილირების წესი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ასევე შემუშავებული იყო აფილირებული პერსონალის დატვირთვის განაწილების მეთოდოლოგია და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფს წარუდგენდა აღნიშნულ წესს მათ რომ ადგილზე მოეთხოვათ. ავტობიოგრაფიებიდან მხოლოდ ორი პირის დოკუმენტი იყო ინგლისურ ენაზე, რაც შეიძლებოდა ჩათვლილიყო ტექნიკურ ხარვეზად, რადგან მათი ქართული ვერსიები წარდგენილი იყო ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში და სისტემატიზირებული იყო. ერთიანი ფორმატით CV-ის არსებობა, ცხადია სასურველი იქნებოდა და უნივერსიტეტს აღნიშნულის უზრუნველყოფა. თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია უფრო რჩევის ხასიათს ატარებს. ამჟამად, პროგრამის აკადემიურ პერსონალზე ინფორმაციას ფლობს უნივერსიტეტი და არ შეფერხებულა პროცესი იმ საფუძვლით, რომ CV-ის ერთიანი ფორმა არ არის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტის მიერ ექსპერტებისთვის წარდგენილ იქნა თანამშრომლობის მემორანდუმი „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტთან“, სადაც წარმოდგენილია უსდ-ების მიერ ერთმანეთის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის შესახებ სპეციალური დებულება. პარტნიორ უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა Heinonline-ის ბაზაზე, რომელზეც აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში წვდომა ექნებათ ასევე კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს. ეს საკითხი დეტალურად იქნა გამოკვლეული ექსპერტებთან შეხვედრაზე და ისინი ინფორმირებულნი იყვნენ თანამშრომლობის ცალკეულ პრაქტიკულ ასპექტებზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობდა ავტორიზებული წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ბაზაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნებოდა უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს, რაც გულისხმობდა საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული რესურსების მუდმივ შეფასებას და გაუმჯობესების გზების დასახვას. უნივერსიტეტში მოქმედებდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა "დაგეგმე განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. აღნიშნული ციკლის ოთხივე კომპონენტი მნიშვნელოვანი იყო და ინსტიტუციური პროცესების მიმდინარეობა

სწორედაც რომ მათზე იყო დაფუძნებული, რასაც მოწმობდა მთლიანად უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობა და წარმატებული კურსდამთავრებულები. ციკლის ოთხივე საფეხურის ჩვენება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განმარტებოდა ექსპერტებს თუ დასმული იქნებოდა კითხვა ვიზიტის დროს.

დაწესებულებამ დანართის სახით წარმოადგინა 2017 წელს საპილოტე აკრედიტაციისას გაკეთებული რეკომენდაციების განსახილველ პროგრამაში გათვალისწინების სქემატურად წარმოდგენილი ინფორმაცია. თვითშეფასების ანგარიშში ასახული იყო სწორად ის ფაქტობრივი მდგომარეობა და პროცესი, რაც განხორციელდა სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტებთან შეხვედრისას წარდგენილ იქნა შესაძარებელ სამიზნე სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი და დასაბუთდა შერჩეული პროგრამების თავისებურებებიდან რომლები იქნა გამოყენებული პროგრამის რე-აკრედიტაციის მიზნებისათვის თვითშეფასების პროცესში. ანალიზის შედეგები ასახული იყო პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში და ეს ინფორმაცია დეტალურად იქნა გაცნობილი ექსპერტებისათვის. შესაძლო იყო თვითშეფასების ანგარიშში „ნარატივის“ სახით სათანადო ინფორმაციის წარმოდგენა, თუმცა განხილული დეტალები ადვილად ამოსაცნობი უნდა ყოფილიყო პროგრამის არქიტექტურიდან.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავდა ღირებული მკვლევართ და პედაგოგიური ადამიანური რესურსით განათლებასა და მეცნიერებაში წვლილის შეტანას. დოქტორანტებიც და კურსდამთავრებულებიც (თუმცა ამ ეტაპისათვის მწირი რაოდენობა) პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართული იყო თავად კავკასიის უნივერსიტეტში. ამდენად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო. მათი მოსაზრებანი, ნაწილი იყო იმ კრიტერიუმების, რომელთა მიხედვითაც დგინდებოდა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის არსებობა-არარსებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ოთხ უცხოელ პროფესორთან ჰქონდათ მოლაპარაკება ჩართულიყვნენ პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა პროგრამაზე მიღების პირობებით. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უტარდებოდა გასაუბრება, წარმოსადგენი ჰქონდა გარკვეული დოკუმენტების ნუსხა, მაგისტრატურის დონის რეფერატის მსგავსი ნაშრომი, საკვლევი თემის დასახელება ზეპირსიტყვიერადაც საკმარისი იყო, რის მიხედვითაც დაწესებულება შესთავაზებდა პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ხელმძღვანელს, თუ შესაბამისი მიმართულების პროფესორი უნივერსიტეტს არ ეყოლებოდა შესაძლებელი იყო მოწვევა. ასევე, დოქტორანტს შეეძლო თავადაც მოეყვანა თავისი ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულება ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სამი სასწავლო კურსის თემატიკა ერთმანეთს ემთხვეოდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდნენ აღნიშნულ საკითხს. სამივე საგნის სწავლება განპირობებული იყო პრაქტიკული გამოცდილებით, რადგან სამაგისტრო

საფეხურზე ეს კურსები სტუდენტთა უმრავლესობას არ ჰქონდა გავლილი. ამ კურსებში არ მეორდებოდა ლიტერატურაც კი.

საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესდა აკმაყოფილებდნენ თუ არა დოქტორანტის ხელმძღვანელები სტანდარტის მოთხოვნებს მაშინ, როდესაც უკვე სტატუსშეჩერებული, სტუდენტები აღიდგენდნენ სტატუსს. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აკმაყოფილებდნენ. ხოლო, თუ სტუდენტები სტატუსს აღიდგენდნენ, მათ ჰქონდათ ერთი სემესტრი იმისათვის, რომ შეეცვალათ ხელმძღვანელი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ სადისერტაციო საბჭოს წევრების მეოთხედს ბოლო 10, 12, 14 წლის განმავლობაში არ უდასტურებოდა კვლევები. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას ასევე ჰყავდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც შეესაბამებოდა აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. ასე რომ არ ყოფილიყო, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იქნებოდა უფრო მძიმე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ანალიზის და საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის საფუძველზე, საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ მე-4 სტანდარტი უნდა შეფასებულიყო როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ვინაიდან მათი მოსაზრებით, პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსი უზრუნველყოფდა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, საბჭომ აღნიშნა, რომ პროგრამა საჭიროებდა გაუმჯობესებას და დაწესებულებას უნდა ემუშავა რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე -11

წინააღმდეგი -2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ იმსჯელა და შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ მიზანშეწონილია 1 წლის ვადაში განხორციელდეს პროგრამაზე მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდება რეკომენდაციების შესრულება.

19:27 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

19:15 საათზე საბჭოს სხდომა განახლდა.

საბჭოს წევრებმა - მაკა ლაშხიამ და სალომე თოთიბაძემ დატოვეს საბჭოს სხდომა.

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები:

- აუცილებელია განახლდეს საბიბლიოთეკო ბაზა შესაბამისი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით.

- აუცილებელია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა აისახოს ბათუმის საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში;

გარდა რეკომენდაციებისა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

- სასურველია, დაწესდეს სავალდებულო და/ან სავალდებულო - არჩევითი კურსი/კურსები, რომლის დახმარებითაც ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტები გაეცნობიან ბათუმის საზღვაო აკადემიის სპეციალობების სპეციფიკას, ლექსიკურ და დარგობრივ თავისებურებებს.

- სასურველია, პროგრამის მონაწილე სტუდენტებს წინასწარ ჩაუტარდეთ სადიაგნოსტიკო ტესტი, რის მიხედვითაც განისაზღვრება მათი ენობრივი კომპეტენციები, რათა სტუდენტმა სწავლა განაგრძოს A1, A2 ან B1.

- სასურველია, ბათუმის საზღვაო აკადემიამ განსაზღვროს პროგრამის სამიზნე აუდიტორია და განხორციელოს პროგრამის მიზნობრივი პრეზენტაციები არაქართულენოვან სკოლებში, კერძოდ, სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში. ამ მიზნით შესაძლებელია შესაბამისი თანამშრომლობა რეგიონების რესურს-ცენტრებთან და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, პრეზენტაციის ნაწილი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სომხებითა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ისე, თვითონ ბათუმის საზღვაო აკადემიაში, სადაც, შესაძლოა, მოეწყოს სპეციალური ღია კარის დღეები, მიზნობრივ ჯგუფებს წარედგინოს ბათუმის საზღვაო აკადემიის ინფრასტრუქტურის გამოყენებით სპეციალური მოდელირებული ტექნიკური აღჭურვილობა და სხვ.
- ვინაიდან პროგრამა არ ფუნქციონირებს, სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან მეტი ინიციატივა, პროგრამის პოპულარიზაცია სამიზნე რეგიონებში მცხოვრებ აბიტურიენტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებს და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, ხომ არ სურდათ რამის დამატება. საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი (განათლების მე-6)
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი 0104
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან გულუამ საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები:

- სილაბუსებში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება;
- საგნები „გამოყენებითი მექანიკა“ და „ელექტროტექნიკა“ გადატანილ იქნას არჩევითი საგნების ბლოკში, ხოლო მათ ნაცვლად, გამოთავისუფლებული კრედიტები დაეთმოს ძირითადი სპეციალობის უფრო გაღრმავებულად შესწავლას

ექსპერტმა ასევე წარმოადგინა რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- საწარმოო პრაქტიკაში მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტების წარმოების პროცესში უშუალო მონაწილეობას
- დაზუსტდეს საგნის „კვების მრეწველობის პროცესები და მოწყობილობები“ სილაბუსის საკითხები

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა პირველ რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვით პროგრამაზე უნდა მოემზადებინათ სპეციალისტები, რომლებიც მზად იქნებოდნენ

შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და ასევე დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები ჩართული იყვნენ პრაქტიკულ სამუშაოებში, პრაქტიკას გადიოდნენ საწარმოებში, რიგ შემთხვევაში მათ ხელფასიც ჰქონდათ დანიშნული და პრემიებიც, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია სილაბუსში არ იყო სრულყოფილად ნაჩვენები, რაც უკვე შეცვალა დაწესებულებამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურა ნაკლები იყო, ქართულენოვანი ლიტერატურა კი მომზადებული იყო მათი დეპარტამენტის მიერ, ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით. ასევე დაამატა რომ, მიმდინარე სემესტრიდან იგეგმებოდა ოთხი ინგლისურენოვანი პროგრამის შეთავაზება. ასევე აიწეოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ინგლისური ენის კომპეტენციის ზღვარი.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ შეკითხვით მიმართა ექსპერტებს, ის დაინტერესდა რა იგულისხმებოდა სასწავლო კურსების გადანაცვლებასა და კრედიტების გაზრდაში, ახალი სასწავლო კურსების შეთავაზება თუ არსებულის კრედიტების გაზრდა. რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე შესაძლებელი იყო.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ანალიზის და საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის საფუძველზე, საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი უნდა შეფასებულიყო როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ვინაიდან მათი მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება დაწესებულების მიერ.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრა 6 თვე.

5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ლანდშაფტური არქიტექტურა
განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი 110103
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თინათინ ხიმშიაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სტუდენტებთან მუშაობა პლაგიატის მიმართულებით; სილაბუსი „სამეცნიერო წერა“- ს ფარგლებში და დარწმუნდეს სტუდენტების ცოდნაში, რაც შეეხება პლაგიატს და მისი აღმოფხვრის მექანიზმებს;
- უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს სტუდენტების ჩართულობაზე საერთაშორისო დონის კონფერენციებში და ხელი შეუწყოს მათ ინტერნაციონალიზაციას;
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ ურბანული დაგეგმარების სპეციალისტები - ლანდშაფტის არქიტექტორი ან არქიტექტორი, რაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობას;
- გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას ინდივიდუალური საჭიროებები (ტრენინგები, ენის კურსები, გაცვლითი 7 საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები და სხვა), რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და პროგრამის განვითარებას;
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სფეროს ცვალებად შემოქმედებით სახელოვნებო გარემოში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობა, საჭიროა შემუშავდეს დარგის

სპეციფიკის გათვალისწინებით აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, მასტერ-კლასები, პარტნიორული კავშირები.

მან საბჭოს ასევე გააცნო რჩევები პროგრამის გაუმჯობესებისათვის:

- სასურველია გამრავალფეროვნდეს აღნიშნული დარგის სასწავლო კურსების შინაარსი და თანამედროვე ტერმინოლოგია;
- შემუშავდეს და კურიკულუმს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები თანამედროვე ლანდშაფტური არქიტექტურის ტენდენციების კუთხით;
- არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ეხება სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნების ადეკვატურად ფორმულირებას და პროგრამის სწავლის შედეგებთან მათ მიმართებას;
- სასურველია, ლანდშაფტური არქიტექტურის სასწავლო კურსისთვის დეტალურად გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები და ვიზუალური პრეზენტაცია;
- სასურველია, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არქიტექტურულ -სივრცითი შემოქმედებითი უნარების შემოწმების ან გამოვლენის მიზნით დაწესდეს გამოცდის (შიდა ტური) ან/და პორტფოლიოს წარდგენა;
- სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით და ამ მიზნით შემუშავდეს ეფექტური აქტივობები;
- სასურველია გაცვლითი პრაქტიკა უნივერსიტეტის პარტნიორ უცხოურ სასწავლებლებთან;
- სასურველია ნაგებობა და ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოყოფილია აგრარული ფაკულტეტისთვის განახლდეს/გარემონტდეს (ფინანსების არსებობის შემთხვევაში);
- სასურველია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვითგამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას, რაც უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას

ექსპერტმა დაამატა, რომ ლანდშაფტის არქიტექტურის კუთხით დასაქმების შესაძლებლობა იყო ქუთაისის ბოტანიკურ ბაღსა და თბილისის ბოტანიკურ ბაღში, თუმცა სხვაგან ამ მიმართულებით დასაქმება რთული იყო. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ამზადებდა კვალიფიციურ კადრებს და როდესაც ქვეყანაში გაჩნდებოდა ამ კადრებზე მოთხოვნა, შესაძლებელი იქნებოდა სპეციალისტების დასაქმება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დააზუსტა ფინანსური რესურსების საკითხი და იკითხა, რამდენად საკმარისი იყო პროგრამის ბიუჯეტი, თუ იღებდა პროგრამა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამებს, რომელებსაც შესაძლოა შეეძნოდა გრანტების მოპოვების პრობლემა და თუ ეს პროგრამები იყო განვითარებაზე მიმართული და ასევე ემსახურებოდა სახელმწიფოსა და რეგიონის ინტერესებს, უნივერსიტეტს ჰქონდა ბიუჯეტში გათვალისწინებული ასეთი პროგრამების ხელშეწყობა. ეს მიდგომა ასახული იყო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში და უნივერსიტეტი პასუხობდა საზოგადოებრივი მოთხოვნების და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განხილული პროგრამა ერთ-ერთ ყველაზე განსაკუთრებულ პროგრამად მიიჩნეოდა უნივერსიტეტში. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ყველა დანარჩენი პროგრამა დაფინანსებული იყო სახელმწიფოს მიერ და შესაბამისად, თანხების გადანაწილება შესაძლებელი იქნებოდა. მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამისთვის უნივერსიტეტს ჰქონდა ყველა საჭირო რესურსი, რაზეც ექსპერტმაც ისაუბრა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, ადგილზე პრაქტიკის გავლას თუ იყო გათვალისწინებული პროგრამაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა. ფაკულტეტს დამატებითი ლიმიტი ეძლეოდა ამ პროგრამისთვის. ამ საკითხზე საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ

ფაკულტეტი ხარჯიანი იქნებოდა და მხოლოდ მიწა თუ ჰქონდა, ეს არ ცვლიდა ლანდშაფტის არქიტექტურაზე და დიზაინზე არსებული მოთხოვნების ხარჯებს.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ გაეცნო მასალებს და ჰქონდა ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან კითხვა. პირველ რიგში, მიმართა ექსპერტებს, აგრონომიისა და მცენარეების ნაწილი იყო ნათლად წარმოდგენილი, თუმცა არქიტექტურასთან მიმართულებით პერსონალი არ იყო წარმოდგენილი და რამდენად იყო ექსპერტების აზრით ეს საკითხი მოგვარებადი. საბჭოს წევრმა ასევე ურჩია, რომ ეს საკითხი დარეგულირებულიყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულება ცდილობდა კვალიფიციური კადრების მოზიდვას და პირველ ეტაპზე ასეთი კადრების მოზიდვა რთული იყო, თუმცა შერჩეული ჰყავდათ სპეციალისტები, რომლებიც განახორციელებდნენ პრაქტიკულ ნაწილსაც. ხოლო პროგრამაში არსებული აკადემიური პერსონალიდან ერთ-ერთს კვალიფიკაცია ჰქონდა კონკრეტულად ლანდშაფტის არქიტექტურის მიმართულებით და ასეთი სპეციალისტი საქართველოში არ იყო. შესაბამისად, იმ მოთხოვნებს რაც ამ პროგრამას ჰქონდა დასახული და რა კომპეტენციის სპეციალისტიც უნდა მოემზადებინა ამ პროგრამას, მოცემულ ეტაპზე, აკადემიური პერსონალი თავისი შესაძლებლობებით უმკლავდებოდა. მან იქვე დასძინა, რომ იგეგმებოდა კიდევ უფრო გაძლიერება იმ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომელიც წარდგენილი იყო და უკვე შერჩეული იყო სპეციალისტები, მზაობა იყო უნივერსიტეტის მხრიდანაც და მათთან გაფორმდებოდა ხელშეკრულებები.

ექსპერტის განმარტებით, სადიპლომო ნამუშევრებში ჩანდა, რომ თბილისის ბევრ არქიტექტურულ სასწავლებელზე უკეთესი პროექტები ჰქონდათ შემუშავებული. უნივერსიტეტი ასწავლიდა პროგრამებს და დიზაინს ცალ-ცალკე და შესაბამისად, პროექტები კარგი არქიტექტურული მხარით იყო შესრულებული. მან ასევე განმარტა, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ლანდშაფტის არქიტექტურა არ ისწავლებოდა და ახალი თაობა მიიღებდა განათლებას და ხარისხს ამ სპეციალობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ლანდშაფტის არქიტექტურის მიმართულებით დიდი ტრადიცია ჰქონდა და ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაარსებისას ჩაეყარა ამ მიმართულებას საფუძველი, სამი სხვადასხვა პროფესიის პედაგოგები ასწავლიდნენ: აგრონომიის, ფერწერისა და არქიტექტურის. მან ასევე განმარტა, რომ ამ მიმართულებაზე ყოველთვის იყო არქიტექტორი.

სავარაუდოდ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადრე არსებობდა მკაცრი მოთხოვნა, რომელსაც დაექვემდებარა უნივერსიტეტი და დაწესებულებამ გაანაწილა საათები ლანდშაფტის არქიტექტურის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კურსდამთავრებულმა უნივერსიტეტში ჩააბარა მაგისტრატურაზე და შემდეგ დოქტორანტურაზე. ამჟამად იყო პირველ კურსზე და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რათა ჩართულიყო არქიტექტურის განხრით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაციებში ექსპერტების მხრიდან შემოთავაზებული იყო ურბანული ტერიტორიების ლანდშაფტური კეთილმოწყობის მიმართულების გაძლიერება. მან აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდნენ და ეს საგანი აუცილებლად იქნებოდა შეტანილი პროგრამაში.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა უსაფრთხოების საკითხებით, კერძოდ რომელ სილაბუსში იქნებოდა განხილული ლანდშაფტის მოწყობის შემთხვევაში უსაფრთხოების საკითხები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პარკების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ნაწილში გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრმა დაახუსტა ლიტერატურის საკითხი, კერძოდ, სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული იყო 4 სახელმძღვანელო, აქედან ერთი იყო 2001, ორი იყო 2003 წელს და ერთი 2004 წელს გამოცემული და მიიჩნია, რომ ეს ინფორმაცია მოძველებული იყო. დაწესებულებამ აღნიშნა,

რომ შენიშვნა მიღებული იყო, იყო ამის შესაძლებლობა და ჩასწორდებოდა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ლიტერატურა უნდა ყოფილიყო მუდმივად განახლებადი.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ გაეცნო მათ მიერ სამაგისტრო ნაშრომებზე დართულ ჩამონათვალს, რაც ძალიან საინტერესოდ მოეჩვენა, თემები იყო კონკრეტული, მათ შორის: ადგილების გამწვანება ქუთაისში, ნატანებში და სხვა. იგი დაინტერესდა იყო თუ არა შეთავაზებული, როგორც რეალური პროექტები რომლებიც განხორციელდა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული პროექტები განხორციელდა იმ ადგილებში სადაც მითითებული იყო.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა დააზუსტა, პროგრამის სტრუქტურისა და მოთხოვნების საკითხი. პროგრამაში ვერ მოიძია სამაგისტრო ნაშრომისადმი წამოყენებული მოთხოვნები, კერძოდ, დაინტერესდა მხოლოდ პროექტით შემოიფარგლებოდნენ თუ დებულების მიხედვით განსაზღვრავდნენ. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ისინი დებულებით ხელმძღვანელობდნენ.

20:15 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

20:20 საათზე განახლდა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ იმსჯელა და შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ მიზანშეწონილია 6 თვის ვადაში განხორციელდეს პროგრამაზე მონიტორინგი რეკომენდაციების გადამოწმების მიზნით. დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:25 საათზე.

რომ შენიშვნა მიღებული იყო, იყო ამის შესაძლებლობა და ჩასწორდებოდა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ლიტერატურა უნდა ყოფილიყო მუდმივად განახლებადი. საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ გაეცნო მათ მიერ სამაგისტრო ნაშრომებზე დართულ ჩამონათვალს, რაც ძალიან საინტერესოდ მოეჩვენა, თემები იყო კონკრეტული, მათ შორის: ადგილების გამწვანება ქუთაისში, ნატანებში და სხვა. იგი დაინტერესდა იყო თუ არა შეთავაზებული, როგორც რეალური პროექტები რომლებიც განხორციელდა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული პროექტები განხორციელდა იმ ადგილებში სადაც მითითებული იყო.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა დააზუსტა, პროგრამის სტრუქტურისა და მოთხოვნების საკითხი. პროგრამაში ვერ მოიძია სამაგისტრო ნაშრომისადმი წამოყენებული მოთხოვნები, კერძოდ, დაინტერესდა მხოლოდ პროექტით შემოიფარგლებოდნენ თუ დებულების მიხედვით განსაზღვრავდნენ. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ისინი დებულებით ხელმძღვანელობდნენ.

20:15 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

20:20 საათზე განახლდა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ იმსჯელა და შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ მიზანშეწონილია 6 თვის ვადაში განხორციელდეს პროგრამაზე მონიტორინგი რეკომენდაციების გადამოწმების მიზნით. დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:25 საათზე.

თავმჯდომარე

ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი

ლევან გორდეზიანი

